პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

16.05.2019

ProCredit Bank, 21 Al. Kazbegi Ave., 0160 Tbilisi, Georgia
პროკრედიტ ბანკი, აღ. ყაზბეგის გამზ. 21, 0160 თბილისი

საჭიროების ადგილზე წარსადგენად

სათავო ოფისი
იურიდიული განყოფილება

ავტორი : ნონა კალანდაძე

ტელეფონი : +995 32 2202222 (შიდა 1521)
ფაქსი : +995 32 2202223
ელ-ფოსტა : nona.kalandadze@procreditbank.ge

თარიღი : 16.05.2019

თემა: წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ

წინამდებარე წერილით ვადასტურებთ, რომ ვნიშნავთ სს „პროკრედიტ ბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) წარმომადგენლად, ნინო ბერიძეს (პ/ნ 01019021097) (შემდგომში „წარმომადგენელი“), რომელსაც ევალება სათაო ოფისში (მდებარე: ქალაქი თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N21, საკ. კოდი: 01.10.15.009.009) მზის (სოლარ) პანელების განთავსება/მონტაჟთან დაკავშირებით წარმოადგინოს და დაიცვას *ბანკის* ინტერესები ყველა ადმინისტრაციულ და სხვა სახის დაწესებულებებში, მათ შორის მერიაში და მერიის ნებისმიერ სამსახურში. მონაწილეობა მიიღოს განთავსება/მონტაჟის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებაში, *ბანკის* სახელით შესათანხმებლად წარადგინოს განთავსება/მონტაჟის განხორციელების დოკუმენტები, ხელი მოაწეროს ყველა შესაბამის და საჭირო დოკუმენტს, მიიღოს მშენებლობის ნებართვის და სხვა ნებისმიერი მოწმობა, დამოწმებული საპროექტო დოკუმენტაცია და განახორციელოს ნებისმიერი სხვა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალების შესრულებასთან.
მინდობილობა გაცემულია 2019 წლის ბოლო დღის ჩათვლით და გადანდობას არ ექვემდებარება. *წარმომადგენელს* უფლება აქვს მისცეს ბანკის სასარგებლო ჩვენება, ახსნა-განმარტება, მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი, გაასაჩივროს ნებისმიერი სახის დადგენილება, განჩინება ან სხვა სამართლებრივი აქტი სათანადო ორგანოებში. *წარმომადგენელს* უფლება აქვს ბანკის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, მათ შორის დააყენოს მოთხოვნები, შუამდგომლობა, გაზარდოს ან შეამციროს მოთხოვნა, გადაწყვიტოს მორიგება, გამოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი ნებისმიერი ორგანოდან.
წარმომადგენელი უფლებამოსილია აგრეთვე განახორციელოს სხვა ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული ამ წერილში, მაგრამ აუცილებელია *ბანკის* უფლებების და ინტერესების დასაცავად.

პატივისცემით,

ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“

ქეთევან ხუსკივაძე
დირექტორი

ნათია თხილაიშვილი
დირექტორი

ნონა კალანდაძე
იურისტი

1801800